



เปลี่ยนไป

เปลี่ยนกลับ

ଓঁ কৃষ্ণ গুৰুবৈশ্বী

৩০০০০০
৩০০০০০০

কেলাইন সাপ্লাই

কল্পনা

৬০৬০৮ ১৭০৭৩ ৬০৪৪০

1922 ফ.

თენინთი გრანილი მოდის

სისხლიან სამარიდან:

იძრჩ ის იუოს ძრისტი

მარწევ მოცელი...

სურიან საფრანგეთი

თფილისი, 1922 წ.
სახელმწიფო სტამბა.



ფილილი სინაცხლის ხაზებთან

მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს,
 შენს უმანქო ბაგეზე დაბინავდენ ლოცვები.
 საოცრების ლანდები შენ წინ გლოფას ანთებენ,
 როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით.

შუალამის ველრება სამრეკლოსთან შერდება,
 მოგონება ფიცრდება სინანულის ფარდებში.
 სურნელება ვილლასი დაეცემა სილაზე,
 როგორც ლურჯი სინაზე დაიკივლებს ვარდებში.

აკან კალდა არმაზი სერაფიმის ნარმაზე,
 მოსვენებას არ მაძლევს კვირეების გუგუნი.
 ძლივს გადურჩი ამ აპრილს, ვერ ვასრულებ დანაპირს,
 ჩვენს ცხოვრებას თანაბარს შთანთქავს ლამე უკუნი.

განშორების სათებში ჩაქრებიან სანთლები,
 დაო, მომელანდები ვით კუბოში მწიოლარე.
 სასაფლაოს ლოდებთან ჩამოცვივდენ ფოთლები,
 მზეო არ გელოდები მე ფარულად მთრთოლვარე.

როცა ქარი იწყება გადვიქცევი ფაქტებად,
 დედა ხშირად მიწყრება რომ ვერ ვდგვები ალაგში.
 მესმის ხმა როიალის ვით ფოთლების შრიალი.
 მიყვარს მე ხეტიალი შეშლილივით ქალაქში.

მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს,
 შენს უმანქო ბაგეზე დაბინავდენ ლოცვები.

უიმედო დაგრუნვება

რა გულმოკლული მივალ ოთახში,
ო, რანაირი ბინაზე მივალ.
დღესაც მწუხარე ვიყავი ბაღში,
ებლა ქარია მახსოვეარ, მცივა.

მივალ, დამხვდება მკვდარი ქალივით
ჩემი ლოგინი მუდამ სოველი.
მე მოვალ მალე ლამე ნალევი,
როგორც თვალები ცრემლის მთოველი.

მიდის ფარული ეს გამწარება,
ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს.
ჩემს გულისწყრობას, ჩემს აღსარებას,
მე ვეუბნები: ოთახს, სიბნელეს.

გაივლის ლამე სამარე სულის,
ო, მიხარია ეს გათენება,
და გავალ მზეზე მე მოქანცული,
როგორც სიზმარი და მოჩვენება.

პვირის შუადღე.

თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებათ,
 ყრუ სასაფლაო და მდუმარება.

უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები,
 ირლვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება.

კვირის წირვები ქრებიან შხამით,
 დღის ზიარება ხატებს დანებდა.
 მამის საფლავი, ტირილი ღამით,
 სისხლი აბელის, გლოვა დანებთან.

კვირის აისი ღანდებში ახვევს
 დაშისხვრეულ კუმოს ყვითელი ფერით.
 ისევ წამება, და ავი სახე.
 წამილებს ზარით მე ნოემბერი.

სამრეკლო ანთებს ღრმა პანაშვიდებს,
 კვირის ხმაურში კვდება ქუჩები.
 ო, ეს საღამო თითქოს მამშვიდებს,
 მაგრამ ხვალ გლოვას ვერ ვაღურჩები.

თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით,
 ყრუ სასაფლაო და მდუმარება.
 უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები,
 ირლვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება...

უკურნილი ცრემლები

ეს ვედრება შიშველი—
 მეუცხოვა მე გვიან.
 ლამე ვნებით შეშლილი
 ჟელზე გადამეხვია.

თეთრი შექი ინთება,
 ჩემი სულის და ვარდის.
 ო, ტირილი მინდება,
 შენთან უნმოდ დავარდნილს.

მე თანდათან ვითლდები
 და ჩემი თბაც ძირს ცვივა.
 დაო, ნუ შეწეხდები,
 თუ წამების ლიჩისი ვარ.

ჩუმათ ძინავს გულს ტყეში
 სევდის ლურჯი ოდებით.
 და თბილისის კუთხეში
 საღმე ლაშით მოვკვდები.

მოგონების ქსელი

იელვებს ძველი ლოცვების გროვა,
აპრილის დამლევს მოვიქანუები.

იქნება ისევ უცნობი გლოვა,
და შორეული ნიუანსები.

გავყვები ბედის სევდიან რკალებს,
გაჩინდება უცებ სიფიტრე მწველი.
და ფოთოლივით სულში კანკალებს
მოგონებების ცისფერი ქსელი...

ცისვერი სიმორე.

მიღის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
 ღამე მომიახლოვდა შავი და საშინელი.

სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან,
 და მოვა მწუხარება ჩემი ლურჯი ფრინველი.

ეს გუგუნი მუსიკის როცა მე მიხარია,
 თან ტირილი მინდება და მკლავებზე ტრაური.
 ჩემი მოპირდაპირე უხილავი ქარია,
 და ოვალებში გაისმის ღამეების ხმაური.

მე ყოველთვის ასე ვარ, და არავინ არ იცის,
 ბოროტება მიცეკერის, როგორც შავი ყორანი.
 მე ისევ მენატრება სურნელება შიისის,
 და ზაფხულის დღეები ტკბილი მოსაგონარი.

ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები
 (ალბად გენიოსი ვარ, და ცისფერი სიშორე).
 დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
 საღმე ახლოს თბილისთან თუ სამარე ვიშოვე

სულის მკრთალი ლანდები შენს გარშემო ივლიან,
 წვიმიანი წამოვა რიცხვი აუტანელი.
 ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია,
 საოცრება მუდამ გელის შენ ტერენტი გრანელი.

მიღის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
 ღამე მომიახლოვდა შავი და საშინელი.
 სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან,
 და მოვა მწუხარება ჩემი ლურჯი ფრინველი.

ჭამუარის გარელიაზი

საღამო,—კანკალი სინათლის,
 ირგვლივ დაწოლილი ნისლი.
 ფარული წამების ლანდი,
 პოეტის ცრემლი და სისხლი.

არ არის ტირილის გარდა
 სულისთვის ნუგეში სრული.
 შეირხა სიმწარის ფარდა,
 და ტყეში გაფრინდა გული.

გაიხსნა ველრების რკალი,
 (ზამთარი სიცოცხლეს მართმევს).
 ქალაქის ფერმკრთალი ქალი
 სარკესთან შეკრონება საღმე.

დავტოვე სურვილი ბევრი.
 (ქარია და ზარი კივის.)
 ციმციმებს სიკვდილის ფერი,
 დაეშვა დღეები ცივი.

საღამო,—კანკალი სანთლის,
 ირგვლივ დაწოლილი ნისლი.
 ფარული წამების ლანდი,
 პოეტის ცრემლი და სისხლი...

რეალიზაცია: პვირის წილვები

თეთრი ხაზებით დავეწევი სასტიკ ზეანებას,
 დაისვენებენ ქიმერებზე ჩემი ცოდვები.

შენს მიმქრალ სახეს შემოდგომა მე არ მანებებს,
 და აյ თბილისში თვით მათხოვარს შევეცოდები.

მე ეს შუადღე გამაოცებს თავის ლოცვებით,
 ცოდვის ტაძარში გადავითვლი ფიქრებს გაძარცულს.
 წეიმის ლანდებში ვიმალები ლაშის ოცნებით,
 ა, ეს წუთები მე მაგონებს ტარილს გარდასულს.

ანთებულ გრძნობით ივაკივლებ ცრეპლებს თვალებში,
 როცა საშინლად გამაშავებს მოვარის სინესტე.
 მეტად მწვავეა ეს ქვეყანა ლაშის რეალებში,
 ა, ჩემი ლექსი ყაჩალების ცრუ მანიფესტი,

კურის წირვებში ცოდვილ ტაძრებს ასწევენ შკვდრები,
 თავის წამება სამრეკლოზე მარტო მე იინდა.
 ა, ვაყრი მუხლებს სინანულით შენ გვედრები,
 ჲ გაჭირვებულს და საცოდავს ღმერთო შემინდე...

ხეოვნის სიმაღლე

დაშტიმდა ბედი, ხსოვნის ტარება,
არ მოსჩანს თეთრი მზე ლანდემინის.
და სიზმარივით თვალს ეფრება,
თბილისი, ცრემლი, დღე რამდენიმე.

ო, გაქრა ლოცვის ფარული სფერო,
და ვურიგდები სიკვდილზე ზამთარს.
მოვიდა რიცხვი საბედისწერო.
და სულის ირგვლივ უცებ დალაშდა.

ახლოს არ დარჩა ვარდი არც ერთი,
და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან.
ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი,
ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა...

ლაშე თვალეგზი.

შიტოვებული ბაღი კიოდა,
 დაჭროდა ლურჯი სურნელი კვირის.
 კვამლია, მსხვერპლის საიქიოდან,
 და საღლაც ქალი სიზმარში ტირის.

სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს,
 ა, სიბნელეა და გულგრილობა.
 კრულვა ჩემს ოთახს, კრულვა ჩემს თვალებს,
 თვალებს, რომელთაც სწვავს უძილობა...

მოცელობი უდაგნოს კვავილეგზე



ხაოცრების წარსული ეშაფოტზე ასული,
ჩქარი და მოქანცული სიკვდილს არ ვენანები,
ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება,
და იწვევს გაოცებას შორეული ალები.

მოგელოდა შენ გზები როგორც ანგელოზები,
და უმანქო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა.
როგორც ლურჯი პარიკებს ღამე ფიქრებს არიგებს.
და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან.

გადავყევი ამ მიზანს, და ვეღრებას ღამისას,
ო, უფალი დამიცავს კვირების კეცაზე.
ნუგე მს რომ ვეზიარო შენთან ვარჩევ სიარულს,
სული ერთვის სიხარულს როიალის კვნესაზე.

დავრჩი ბერის კუთხეში, ბრძო მიკერის უხეში,
მოვა ქალის ნუკეში საიდუმლო ქნარებით.
მირაებების კრებული არის გათეთრებული
და მე გაფითრებული შენსკენ მივექანები.

მიპყრობს აფი ზმანება, თვალი ცრემლებს დანებდა,
თავს იკლავენ ზარებიან ყვაეკილების სერია.
ვხედავ უკხო დარბაზებს და სიბრელე მაბრაზებს,
რატომ მე არ მაჟასებს თარსი პერიფერია.

მოგელოდა შენ გზები როგორც ანგელოზები.
და უმანქო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა.
როგორც ლურჯი პარიკებს ღამე ფიქრებს არიგებს,
და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან...

ნისტიანი გაღი

მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა,
 ეხლა შენსავით მეც ვიმოსები.
 და სევდის ბალში ისევ აყვავდა
 იები, ვარდი, და მიმოზები.

უზრუნველობა და სიხარული
 ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა.
 მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული,
 და ანგელოზი თეთრი ბალისა.

ეს ჩემი ბედი ეხლა ამაღლდა:
 ვით შუალამის თეთრი ლოცვები.
 და სევდის ბალში ისევ აყვავდა,
 იები, ვარდი, და მიმოზები.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାଠୀ.

ଏହି ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ମୁଖ୍ୟତାଲୀକା
 ଦ୍ୱାରା ନିର୍ଧାରିତ କାରଣାଙ୍କ
 ଏହି ସହିନେ ମହାରଜ୍ୟେଷ୍ଠଙ୍କ ତଥାଲୀକା,
 ନିର୍ଗ୍ରହିତ ଗନ୍ଧେଶଙ୍କ ଶମରଙ୍କ.

ଶାଶ୍ଵତରଙ୍କ ପ୍ରେସର୍ସର ମହାରଜ୍,
 କିମ୍ବା କିମ୍ବାଲ ଚାରିଦ୍ୱାରା ଗମିନାଙ୍କୁ
 ବାର୍ତ୍ତା କ୍ଷେତ୍ରରେ ଶାଶ୍ଵତର ଶାଶ୍ଵତ,
 ଲାଭେ କାନ୍ତିକାଳର ମିନାଶ.
 ଏହିର ପ୍ରିସଟର୍ସର ତଥାଲୀକା,
 ତେବେର ଲାଭେ ପ୍ରେସର୍ସର ବାର୍ତ୍ତା.
 ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ-ପାଠୀର ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ମିନାଙ୍କୁ ଶାଶ୍ଵତର ପାଠୀର ପାଠୀ.

କିମ୍ବାଲ କିମ୍ବାଲ କିମ୍ବାଲ,
 କିମ୍ବାଲ କିମ୍ବାଲ କିମ୍ବାଲ,
 କିମ୍ବାଲ, — ପ୍ରେସର୍ସର ଲାଭେ କିମ୍ବାଲ,
 ତାଙ୍କ ଶାଶ୍ଵତର ପାଠୀର କିମ୍ବାଲକିମ୍ବାଲ.

ମନୋଲାଙ୍କ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ଏହି ମନୋଲାଙ୍କ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ମନୋଲାଙ୍କ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,
 ନିର୍ଗ୍ରହିତ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ.

მა და გავითრება.

შუალაშე ჩამოეშვა... ხატების წინ ხელაპყრობილი ვსლევარზე
მე და გაფითრება.

სადღაც შორს ბნელი თვალებით ვამჩნევ:
თეთრ უდამნოში სანთელივით რომ კრთის
ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი.

არ ვიცი:

შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი
უხილავი ბალების სილურჯე იყოს...
ღამის უფსკრული იხსნება.
უნდა ვათენდეს.

ხატების წინ ისევ ხელაპყრობილი ვართ
მე და გაფითრება.

და ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი
ისევ ღამის შუქივით ელავს თეთრ უდამნოში...

ვედრება უფალთან

ვერ გავარღვიე ბოროტების შევი რკალები,
მუღამ თან დამდევს მე უსაზღვრო მოწყენილობა,
შოვა საღამო, და ოცნებით დავიღალები,
სულს უხარია თეთრი ღამე და უძილობა.

ჩემი ცხოვება უცნაური ქრება ცრემლებით,
არავინ არ მყავს, არსაიდან შველას არ ველი.
ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები,
უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი...

მართალი სიყვალი.

შევგრემან სახეს აცისკროვნებს ლურჯი გაროზი.
 თეთრი ხალათი ნაზ ბროლის ყელს მეტად უხდება.
 ღრუბლიან ავდარს გადალახავს წმინდა ტაროსი,
 და ჩვენს გარშემო ყვავილები აფირუზდება.

შერთალი ლანდები ცის სივრცეში ათავაშდება,
 წელ ცეცხლის ალით იფერფლება ანგელუზები.
 ჩემი იმედი სამუდამოთ რომ დამარცხდება,
 ყით მონაზონი შევ ძაბებით შევიმოსები.

თეთრი ვარს კვლავი კაბადონზე რომ გამოჩინდება,
 შისი სხივები მსურს შევკონო ბრილიანტებად.
 თვარიან ღამის ჩუმი დილა რომ გათენდება,
 ჩემი ოცნება დაიმსხვრევა მრავალ ლანდებად.

უცნობი ლაცი.

ცხოვრობდა იგი მთრთოლეარე, ცივი,
 და ბედისაგან შეწუხებული.
 თითქოს საეჭი ქურდი კაცივით,
 უყვარდა ლაშის შავი ხვეული.

ის დადიოდა უცნობი სფინქსი,
 და გაოცებით უმზერდა სანთელს.
 ის დადიოდა უცნობი სფინქსი,
 და შწუხარების სნეული ლანდი.

// უნდოდა შველა, და სწუხდა დღისით,
 სწამდა თბილისი უდაბნო დარდის.
 ასეთი იყო იღბალი შისი,
 ლესაც ასეთი მოკლული დადის...

საიდუმლო მისაღებაზე ჭლეპიან სამრეკლოს

ზამთრის დღეები, ყრუ სიცოვე, და პროცესია,
ნელი სურვილი, შუაღამის თეთრი გორება.
ჩემი სავანე უდაბნოა, და შეცოდება,
ვერ გაგებული მშერა მოღლილს და მიზეზიანს.

ზარების ოჯა წერტილებით შანომესია,
უიღბლო ყოფნის სინანული სულში გროვდება.
საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება,
გაბრწყინვებული ჩემი სახე ვით ეკლესია.

ის, ჩემი სული უერთდება ქალაქს მტვერიანს.
დავიკარგები როგორც მამის ძველი ნისია.
როცა იელვებს კვირეები და ისტერია.

მე მენატრება ღამეები, ძილი მეფური,
რომ სულში ირგვლივ ბოროტების შავი ნისლია,
და ჩემი ტანი ცოდვებისგან დამქიმებული...

ჭარელი პედაგება.

სევდიან სარკეში და უცხო ლამიდან,
 სანთლებათ მისურვენ ყვავები ავ აპრილს.
 პოეტს გარინდებულს როგორც პირამიდა,
 ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს.

გუმბათებს აკიცლებს ხატების ანთება,
 ჰაერში ირჩვა ფრთები ანგელოზების.
 სამრეკოს წუხილი რომ გაიფანტება,
 ტაძარში შევდივარ მწუხარე ლოცვებით.

ჩემს ცოდვილ საენეს ქაოსი ედება,
 თითქოს ვარ სიზმარეში და ირგვლივ ქვებია,
 კლექიან ფერებით ბალებში თინდება,
 ჩემს ვიწრო ოთახში წამები ქრებიან.

ჯვარებიან გაიცლის ფარული ვედრება,
 წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი.
 ფარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება,
 მოვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი.

მე ჩუმი მივყვები ლანდების ასეულს.
 ლამე უდაბნოა, ვნება კოშმარია.
 ჭურაში მცხოვრებს, და სახლიდან გაქცეულს,
 შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ...

ცელის ცაცხლი.

დილის საყვირი, და ქარხნების ნელი გრიალი,
ქალაქის ცეცხლი. დაისრული დროშა წითელი.
ზელ შუალამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,
ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი.

სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,
დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცლელი.
ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა,
კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა როგორც სანთელი.

ქალაქის კვამლი, მღელეარება, ღამის ალები,
და შორეული რაინდების უმწეო შფოთი.
სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების,
და ჩემი სული ამართული ვით ეშაფოტი.

სონეზი დეჭინაშვალს

მამის საფლავთან აგატირებს ტკბილი წარსული,
სპერაკ ცრემლებში დაეხვევი როგორც ბაწარი.
გიყვარს ლოცვებში წილენჯიხის ძველი ტაძარი,
წვიმიან დღეში სასაფლაოს წყრომით გარს უვლი.

კუთხოვანებას რელიგია შენში ასრულებს.
მარად საყდარში იარები გრძელ ჰაზარაში,
ცივ სახარებას წაგიკითხავს მღვდელი ლაზარე,
და ისევ ნუობით უერთდები ცოდვილ ავსულებს.

მწუხრის წირვებში აინთები როგორც კანიელი,
გრანჯავს სიავე ფერწასული მთვარის ანთება,
და შენს კალთებზე ჩუმათ იწვის კორიანტელი.

გარს გახვევია მწუხარება ვლოვას ბანტბად,
ოქროს ხატებში მონაზონი ძველ მონებს სტირი.
და კვლავ გელათის გესიზმრება შენ მონასტერი...

მისაღება ზავთრისაძმი



იგი რაც მწამდა ჩემთან ციმციმებს,
სალაში ზამთარს,
სიკვდილს, სიცივეს.

მთვარე და ნამი,
ორი ლანდის მოგონებების,
უძილო ღამის ცისფერ განთიაღს მე ვეგებები.

წვიმები წივის,
მშვიდობით, გმაღლობ.
ოთახი ცივი და უსინათლო.

ვიცი რომ ვსცდები,
მე ლვთაებრივი.
მოსჩანან მთები
საფლავებივით.

დამეძებს გარეთ
ვერ მოვიცილე,
სალაში ქარებს,
სიკვდილს, სიცივეს...

Marguerite.

ଶେନ ମିଳିଲାଏଇ ନିଲାଗାନ ଘଣ୍ଠାଟ୍ରେ,
 ଓ କାନ୍ଦିକାଲ୍ପନ୍ଧରେ ରୁକ୍ଷରେବି ବାହିରିଲେ.
 ଘେରିଲାଗିଥାଇ ଘର୍ଜିବାର ପ୍ରକାଶ ଖଲ୍ପାଟ୍ରେ,
 ମହିଦାରି ଫଳୀରେବି ପିଲାଫେରି ବାହିରି

ଯେ ପ୍ରକାଶ ଦାରିଦ୍ରି, ସୁଲାଲାଙ୍ଗା,
 ଓ ଶବ୍ଦଶବ୍ଦାନିର ଧ୍ୟାନ ଜୀବିଶ୍ରେଷ୍ଠିତ
 ପ୍ରକାଶିଲା ଦାଶାଵିତ ମିଳାହିନିର ଏକବାଦ
 ଶିଖିବେ ତେବେରି ଓ ଉଚ୍ଛିଷ୍ଟିନିର୍ଦ୍ଦେଶି.

ଘେରିଲାଏଇ ଶାରିରି କମା ଶୁଦ୍ଧାଧନରେନ୍ଦ୍ରାନ,
 ଓ ଗାନ୍ଧିଜାଲ୍ପନ୍ଧରେ ତର୍ପନ ଓ ଶାରିରି
 ଦେଖିଲା ଫଳୀରେବି ଶେନ ହିନ୍ଦି ନିର୍ଦ୍ଦେଶରେନ୍ଦ୍ରା,
 ରହିଲାରିପାଇ ଲାନଫେବି ଲୁହରଜୀର ଶିଖିବାରିଲି...

განმორეგის ლოდები.

ათოვლილი სავანე,
თან სურეილი გვიანი.
რჩება ოდნავ ღასანანი,
ეს დღეები მზიანი.

მალე გავა ზამთარი,
მგონი ვნახავ გაზაფხულს.
ლამე სწოვს როგორც აფთარი,
სულს, ლექსებში დამარხულს.

და სიზმრების მორევი,
ჩემთან მოდის გოდებით.
მძიმეა განშორების
ოველიანი ლოდები...

სოფორის სიჩეკი

შორს მიმაქანებდა მე სულის სიჩეკარე,
და ვგრძნობდი თვალებში რომ ცრემლი ყვაოდა.
გზა იყო უცნობი გავალე კიშეარი,
და კვნესა მომესმა მე სასაფლაოდან.

სიჩეკეს ფანტავდა ფურცლები სიმინდის.
მოსჩანდა სამრეკლო და ლურჯი გორები.
ჩევს ფიქრებს თან სდევდა ლაცვები საწმინდის,
და ზარებს ვუსმენდი მე განმეორებით...

ს ი უ რ ე

კართველი გუბენი



საღამო სთვლემდა შწუხარების ლურჯი რკალებით,
და მეც ვწუხდი სიშორეს.

დავბინავდით.

იქ ჩვენთან თოვლში სტიროდენ ქალებიც,
და როგორც მაშინ
მე ეხლაც ვიგრძენი,
სიახლოეჟ მძინარე შველის.
გლოვა დარჩა თმაში,
და მე ნათლად ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიშველის,
ო, სიკვდილი მიშველის...

ანერილი გერი

საქონლები
სახელმწიფო ბიბლიოთი

ეს ტირილი და კვნესა,
ჩემსკენ წამოვა ისევ.
მე შენთან მოვალ დღესაც,
როგორც მწუხარე ქრისტე.

დადის დემონი მთვარის,
და ავი ბედისწერა.
მიპყრობს იისფერ თვალის
ასე უღონო მზერა.

მღალავს ქუჩა და კიბე,
როგორც სიზმარი დილის.
ასე აწეწილ ბედით
მინდა გავშორდე თბილის.

ცრემლი შეაღავის.

ჩნდება შორეული ჩემი შოგონება,
 ო, ეს მოგონება გაფრენილი მტრედი.
 მე ხანდახან თავი შევდარი მეგონება,
 და ეს ქვეყანა მხოლოდ სიზმარეთი.

ცოდვილი პოეტი მუდამ ასე რჩება,
 ო, მინდა ვუარეკუ ეხლა ყოველივე.
 ჩემი თეთრი სული შენთან იტანჯება,
 ოთახში სიბნელე დადის ღრუბელივით...

ზორბეული სინათლე

გათავდა ჩემი გლოვა ამდენი,
 დავტოვე ბედი რატომ, არ ვიცი.
 სულის გადაღმა ელავს კანდელი,
 და განსაცდელი შორეულ რიცხვის.

ეს ჩემი ფიქრის ლურჯი მხარეა,
 ასეთი ფერი ალბად მას ქონდა.
 ყოველი ღამე—ყრუ სამარეა,
 ყოველი ღამე—არის გოლგოთა.

განვლილ დღეების ნისლიან ლანდთან,
 მე ისევ მივალ უთუოდ მალე.
 და კანკელივით ხმება თანდათან,
 ჩემი სინაზე და სიბრწყინვალე.

მოგონებების ქრიან ლანდები,
 და საფლავები მე წინ მიმიძღვის.
 სულის გადაღმა ელავს კანდელი,
 და განსაცდელი შორეულ რიცხვის...

15000 856900.



2/33



Ե. շ. և. օ. № 271. Գլուխո (90)

